

სამშენებლო

წარმოების ორგანიზაცია, მართვა და მენეჯმენტი № 23

ნაწილი I

1. რამდენი თავისაგან შედგება კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება
ა – ცხრა;
ბ – ათი;
გ – თორმეტი;
დ – თხუთმეტი.
2. რომელი ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს მშენებლობაში ამწე-მექანიზმებისა
და სატრანსპორტო საშუალებების ხარჯებს
ა – ლოკალურ-სატრანსპორტო;
ბ – ლოკალურ-რესურსული;
გ – საობიექტო;
დ – კრებსითი.
3. რომელი დანახარჯებით განისაზღვრება მშენებლობაზე ინჟინერ-ტექნიკური
პერსონალის ხელფასი
ა – ზედნადები ხარჯებით;
ბ – პირდაპირი ხარჯები;
გ – ირიბი ხარჯებით;
დ – ადმინისტრაციული ხარჯებით.
4. ხარჯთაღრიცხვის რომელ ნაწილშია გათვალისწინებული მშენებლობაზე
დაკავებული მუშახელის ხელფასი
ა – ირიბ ხარჯებში;
ბ – პირდაპირ ხარჯებში;

- გ – სახარჯთაღრიცხვო მოგებაში;
- დ – ზედნადებ ხარჯებში.

5. ხარჯთაღრიცხვების რომელ ნაწილშია გათვალისწინებული სამშენებლო ფირმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხარჯები

- ა – შენაკრებ სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაში;
- ბ – სახარჯთაღრიცხვო მოგებაში;
- გ – საობიექტო ხარჯთაღრიცხვაში;
- დ – პერსპექტიული განვითარების ხარჯთაღრიცხვაში.

6. კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების რომელ თავში ადგენენ საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საძიებო სამუშაოთა ღირებულებას

- ა – მეოთხეში;
- ბ – მეექვსეში;
- გ – მეცხრეში;
- დ – მეთორმეტეში.

7. რას ნიშნავს იპოთეკა

- ა – უძრავი ნივთის ქირავნობას;
- ბ – ხელშეკრულებას;
- გ – კაპიტალურ დაბანდებას მშენებლობაში;
- დ – ურთიერთგარიგებას.

8. რას ნიშნავს მშენებლობის ინვესტირება

- ა – ფულის დაბანდება;
- ბ – მშენებლობაში მოგების მიზნით ფულის განთავსების პროცესს;
- გ – ფულადი კაპიტალის ჩუქებას;
- დ – მშენებლობაზე ფასების აწევის პერიოდს.

9. რას ნიშნავს ხარჯთაღრიცხვაში დაყვანილი ხარჯები

- ა – შენობაში ერთი და იგივე დანიშნულებით სხვადასხვა მასალების გამოყენებისას ეკონომიკური განსხვავების დადგენა;
- ბ – ხარჯთაღრიცხვების გამარტივებას;
- გ – მასალა-ნაკეთობების ღირებულების დაყვანას მინიმუმზე;
- დ – მასალა-ნაკეთობების ღირებულების დადგენას.

10. ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებში რამდენ საანგარიშო კომპონენტს მოიცავს პირდაპირი ხარჯები

- ა – ორს;
- ბ – ოთხს;
- გ – სამს;
- დ – ხუთს.

სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია, მართვა და მენეჯმენტი 21

ნაწილი II. მშენებლობის ორგანიზაცია

1. მშენებლობის წარმოების რომელი სავალდებულო პროექტი მუშავდება საპრო-ექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციაში?

- ა) სამუშაოთა წარმოების პროექტის;
- ბ) მშენებლობის ორგანიზაციის;
- გ) ვერტიკალური დაგეგმარების;
- დ) ტერიტორიის კეთილმოწყობის.

2. ვინ ადგენს სამუშაოთა წარმოების პროექტს?

- ა) საპროექტო ფირმა;
- ბ) სახელმწიფო დაწესებულება;
- გ) ეკონომიკის სამინისტრო;
- დ) სამშენებლო ფირმა;

3. ჩამოთვლილიდან რას უნდა ითვალისწინებდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი?

- ა) სამშენებლო დანახარჯებს;
- ბ) ზედნადებ ხარჯებს;
- გ) მშენებლობაზე დაბანდებული თანხების საჭიროების განსაზღვრას მშენებლობის სხვადასხვა პერიოდში;
- დ) სამშენებლო მასალების შესყიდვას;

4. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემადგენლობაში სამშენებლო გენგეგმის რომელი დასახელება მიგაჩნიათ სწორად?

- ა) სამშენებლო გენგეგმა;
- ბ) ობიექტის მშენებლობის გეგმა;
- გ) საერთო სამოედნო სამშენებლო გენგეგმა;
- დ) მშენებლობის განხორციელების გენგეგმა.

5. რა განზომილებით ადგენენ შრომატევადობას?

- ა) კაც-თვეებით;
- ბ) კაც-კვირებით;
- გ) კაც-წუთებით;
- დ) კაც-დღეებით.

6. რას ითვალისწინებს სამუშაოთა წარმოების პროექტი?

- ა) ცალკეულ სამუშაოთა შესრულების თანამიმდევრობის დაგეგმვას დროში;
- ბ) ერთი სამუშაოს ცალკეულ პროცესებად დაყოფას;
- გ) სამუშაოთა გაერთიანებული ჯგუფის მშენებლობის დაგეგმვას შესასრულებელი ვადების განსაზღვრით;
- დ) ობიექტის დაფინანსების დაზუსტებას.

7. რას ნიშნავს მშენებლობის წარმოების ნაკადური მეთოდი?

- ა) სამუშაოთა მიმდევრობითი წესით წარმართვას;
- ბ) სამუშაოთა პარალელურ რეჟიმში წარმართვას;
- გ) მშენებლობის გაშლას ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვით;
- დ) ობიექტის მონაზომებად დაყოფას მასში წინასწარი და მომდევნო სამუშაოების გაშლითა და შესრულებით.

8. რაში გამოიხატება მშენებლობის ქსელური გრაფიკის უპირატესობა წრფივ გრაფიკთან?

- ა) მშენებლობის ვადების ოპტიმიზაციაში;
- ბ) ისაზღვრება მშენებლობის კრიტიკული გზა სხვა სამუშაოებთან დამოკიდებულებაში;
- გ) ადვილდება მშენებლობის მართვა;
- დ) უპირატესობას ვერ ვხედავ.

9. რამდენი ელემენტისაგან შედგება ქსელური გრაფიკი?

- ა) სამი;
- ბ) ექვსი;
- გ) ოთხი;
- დ) რვა.

10. რამდენი საანგარიშო პარამეტრისაგან შედგება ქსელური გრაფიკი?

- ა) ოთხი;
- ბ) ექვსი;
- გ) ათი;
- დ) რვა.